



სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 15 მარტი, 2022

სხდომის დაწყების დრო: 18:00 საათი

ადგილმდებარეობა: დისტანციურად (Zoom პლატფორმა)

სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით). სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციცილო ცხვედიანი, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი, თორნიკე ბაქრაძე, რაისა ლიპარტელიანი, როინ მიგრიაული, ტარიელ კაკაბაძე, ინგა სეხნიაშვილი.

საკითხი 1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) დავით ხარაიშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ.

მათ მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს წარმოდგენილი ჰქონდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 3 - თვიანი თეორიული კურსის გავლის დამადასტურებელი ცნობა და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი განცხადება თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს დავით ხარაიშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადება ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) ეკატერინე თევდორაძის, ლუბა გოგუას და თინათინ ნამგალაძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ეკატერინე თევდორაძის, ლუბა გოგუას და თინათინ ნამგალაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ დავით დავითაშვილის, ნინო ფუტყარაძის, ვახტანგ ჯორბენაძის, ჯენეტი ბერაიას განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს დავით დავითაშვილის, ნინო ფუტყარაძის, ვახტანგ ჯორბენაძის, ჯენეტი ბერაიას მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მ/წლის 28 თებერვალს აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საწევროს გადაუხდელობის გამო წევრობაშეწყვეტილი პირების ადვოკატის პროფესიაში დაბრუნების საკითხზე მუშაობის მიზნით მცირე სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ შემდეგი შემადგენლობით: როინ მიგრიაული, ზვიად კორძაძე, რაისა ლიპარტელიანი, გიორგი ტურაზაშვილი, ია გაბედავა და გიორგი ჭეხანი. ჯგუფის მუშაობის დაწყების მიზნით, საჭიროა თავმჯდომარის არჩევა. წევრების მიერ ერთხმად დასახელდა როინ მიგრიაულის კანდიდატურა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, საწევროს გადაუხდელობის გამო წევრობაშეწყვეტილი პირების, ადვოკატის პროფესიაში დაბრუნების საკითხზე მუშაობის მიზნით შექმნილი მცირე სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა როინ მიგრიაული.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების თაობაზე განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ეკატერინე ჩარკვიანის, დავით ტეფნაძის, თინათინ სარიშვილის და 2022 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების - სალომე ნარმანიას, გიორგი ფანცხავას და ლალი ქარელის განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, გადასახდელი აქვთ 2022 წლის საწევრო, ეცნობოთ, რომ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავ კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა

ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოემვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაუკმაყოფილდეს განმცხადებელთა მოთხოვნები წევრობის შეჩერების თაობაზე. ამასთან, 2022 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს - სალომე ნარმანიას, გიორგი ფანცხავას და ლალი ქარელს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე ეცნობოთ იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების გადახდის გადავადების თაობაზე განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ 2022 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების - თეონა გაბოძე, დიანა მარტიაშვილი, სალომე კალაიჯიშვილი, მაკა სალხინაშვილი, ნიკოლოზ შუბლაძე, ალექსანდრე ლომთათიძე, ქეთევან სოფრომაძე, თამარ ნიკოლეიშვილი, ლია სარიშვილი, ნიკოლოზ ზაქარაია, დარეჯან ზედგენიძე, თამაზ სვანიშვილი, ავთანდილ გიორგაძე, ნუნუ მჭედლიშვილი, კახა კილაძე, ნუნუ ჩოჩელი, ლევან კაკაშვილი, მამუკა ლომიძე, ნატო ნებიერიძე, ეკატერინე გრძელიშვილი, ემა არზიანი, ხათუნა შალიკაძე, იასონ ხარაბაძე, გიგა კოლუა, დავით ჩალაძე, მათა დემეტრაძე, ვილერი წოწორია, ვასილ ოსეფაშვილი, გოგიტა გოგლიჩიძე, რობერტ კუხალაშვილი, თენგიზ თევზაძე, სალომე ზურაბიანი, ალექსანდრე ლომთათიძე, მევლუდ ჯანჯღავა, თამარ ლომთაძე,

ტრისტან ლომიძე, გელა გოგიჩაიშვილი, მირიან პეტრიაშვილი, მაია გულიაშვილი, თემირ გვიშიანი, მაია ტალახაძე, ია თოდუა, კახაბერ ჭიაბრიშვილი, ლაშა გოლუბიანი, მზია ფხალაძე, გიორგი გოლუბიანი, მურმან ქამადაძე, ლალი ეუაშვილი, მურადი მიქელაძე, ლევან ცალუღელაშვილი, ნუგზარ დიდიშვილი, ნინო დოლიძე, რუსუდან კვინიკაძე, მარიამ სეზისკვერაძე, ნელი იასალაშვილი, თამარ გოგორელიანი, ბიქტორ შერმადინი, ანა არჩვაძე, კახაბერ ჭიაბრიშვილი, ედუარდ ალდგომელაშვილი, ეკატერინე მახარაშვილი, გიორგი დოლიძე, ნატო პაპუაშვილი, შალვა გეწაძე, სოფიო ქანთარია, ლევან გიორგობიანი, ირმა ხარჩილავა, ნინო ამისულაშვილი, თეონა კვერნაძე, შორენა ბაღაშვილი, გიორგი იასაშვილი, თინა ბასილაშვილი, დიანა გვიშიანი, ალექსანდრე ახალაძე, ტოგო უჩიძე, სპარტაკ კაპანაძე, თამთა ზენაიშვილი, ირაკლი შელია, ელმინ ისმაილოვი, ლედი კორძაძე, თამარ სანიკიძე, ანა გუჯარაძე, სოფიო გოგლიჩიძე, სოსო მელაძე, ნინო ჩიმაკაძე, მანანა აფხაძე და 2021- 2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრების - ნიკა ნანობაშვილი, მარიამ ბიწაძე, ამბროსი ჭეიშვილი, ანა ჟღენტა, მარიკა ნიაზაშვილი, ხათუნა მარკოიშვილი, დოდო არობელიძე, სალომე ჩინჩალაძე, კახაბერ იოსელიანი, რამაზ კაკუშაძე, ბესიკ ღვინჯილია, ნინო აბაიშვილი, ილია ნაცვლიშვილი, მანანა გელაშვილი, მარინა ჯანიაშვილი, სალომე სამხარაძე, თეა ღვინჯილია, ხატია ქუბრიაშვილი, ივანე იორამაშვილი, ივანე სვიმონიშვილი, ავთანდილ ბუაძე, მაია კაკუბავა, ანა ყარასაშვილი, ლია ნადოლსკი განცხადებებს.

წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი განცხადებების განხილვა მიზანშეწონილია მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე აღმასრულებელი საბჭოს შესაბამის სხდომაზე. ამიტომ, აღნიშნული საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან და მისი განხილვა გადაიდო მომდევნო სხდომისთვის.

საკითხი 5. 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე საკითხის განხილვა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ 2022 წლის 15 მარტის მდგომარეობით, ასოციაციის 290 წევრს უფიქსირდება 2021 წლის საწევრო დავალიანება, ხოლო 1182 წევრს - 2022 წლის საწევრო დავალიანება.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგან ასოციაციის თვითმიზანი არ არის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა და ამავდროულად, წარმოდგენილია განცხადებები საწევროს გადავადების თაობაზე, მიზანშეწონილია, კოლეგებს მიეცეთ

შესაძლებლობა ადმინისტრაციული წარმოების ვადის კიდევ ერთხელ გაგრძელებით დაფარონ საწევრო დავალიანება. თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადის ბოლოჯერ გაგრძელება დამატებით 16 კალენდარული დღით - 2022 წლის 31 მარტამდე.

ღია კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2022 წლის 25 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2022 წლის 07 თებერვალს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადის 16 კალენდარული დღით, ანუ 2022 წლის 31 მარტამდე გაგრძელების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 2022 წლის 25 იანვრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 2022 წლის 07 თებერვალს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდეს 16 კალენდარული დღით და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის საბოლოო ვადად განისაზღვროს 2022 წლის 31 მარტი.

საკითხი 6. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ სალომე კუბლაშვილის, ანა რომანჩენკოს, თამარ ფირცხალავას, ლიკა ფანცულაია, ელენე ქიშმარიას, ია ფიროსმანაშვილის, ლიკა ხუბულიას, თამარ ლუკავას, ნონა ასლანიშვილის და მაგდა შეყელაძის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად სალომე კუბლაშვილის, ანა რომანჩენკოს, თამარ ფირცხალავას, ლიკა ფანცულაია, ელენე ქიშმარიას, ია ფიროსმანაშვილის, ლიკა ხუბულიას, თამარ ლუკავას, ნონა ასლანიშვილის და მაგდა

შეყვალის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 7. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თბილისში მოქმედ კომიტეტებში წევრობის მსურველთა განცხადებების განხილვა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ ასოციაციის თბილისში მოქმედ კომიტეტებში გაწევრიანების მსურველთა კანდიდატურები დამტკიცდა მ/წლის 21 თებერვალს აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე; თუმცა რიგი კომიტეტების შემადგენლობა არ დაკმაყოფილდა დებულებით გათვალისწინებული რაოდენობით.

დღევანდელ სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი იყო კომიტეტების თავმჯდომარეების მიერ დამატებით რეკომენდირებული შემდეგი კანდიდატურები:

1. ახალგაზრდა ადვოკატთა კომიტეტი - არჩილ ჭავჭავანიძე;
2. მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტი - რევაზ აჭარაძე, რატი თინიკაშვილი; ასევე, ირმა პავლიაშვილი (ექსპერტის სტატუსით).
3. ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო სამართლის კომიტეტი - მანუჩარ ციმინტია, სოფიო ხუჭუა.
4. ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტი - მაკა სულაძე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს თბილისში მოქმედი კომიტეტების წევრობის კანდიდატურები სხდომაზე წარმოდგენილი სახით.

საკითხი 8. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის რეგიონულ კომიტეტებში წევრობის მსურველთა განცხადებების განხილვა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ ასოციაციის რეგიონულ კომიტეტებში გაწევრიანების მიზნით ასოციაციაში შემოვიდა 111 მსურველის განცხადება; თავმჯდომარეების მიერ რეკომენდაცია გაეწია 107 განმცხადებელს. ასევე, თავმჯდომარეების მიერ წარმოდგენილი იყო კომიტეტების თანათავმჯდომარეობის კანდიდატურები.

წევრებმა იმსჯელეს სხდომაზე წარმოდგენილი თანათავმჯდომარეობის და რეკომენდირებულ განმცხადებელთა კანდიდატურების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის რეგიონული კომიტეტების წევრობის და ამავე კომიტეტების თანათავმჯდომარეობის კანდიდატურები სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).

საკითხი 9. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) ნუგზარ ნოზაძის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 2020 წლიდან იგი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს რეგიონში (თანდართული იყო შესაბამისი დოკუმენტი). 2020-2021 წლებში მას გადახდილი ჰქონდა საწევრო 400 ლარის ოდენობით. 2019 წლის 31 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი 50%-იანი საშელავათო კრიტერიუმის გათვალისწინებით, მასზე ვრცელდებოდა შეღავათი და მის მიერ გადასახდელი წლიური საწევროს რაოდენობა შეადგენდა 100 (ასი) ლარს. აღნიშნული შეღავათის და წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე, განმცხადებელი ითხოვდა 2020-2021 წლებში მის მიერ გადახდილი 400 ლარის გადანაწილებას 2022 და 2023 წლების საწევროებზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ 2019 წლის 31 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დადგენილი 50%-იანი საშელავათო საწევროს გათვალისწინებით, ნუგზარ ნოზაძის განცხადება ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- დაკმაყოფილდეს ნუგზარ ნოზაძის განცხადება მის მიერ 2020-2021 წლებში გადახდილი 400 ლარის 2022-2023 წლებზე გადანაწილების თაობაზე და განმცხადებელს 2022 და 2023 წლის საწევრო შენატანი ჩათვალოს გადახდილად;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე;
- შესაბამის მონაცემთა ბაზაში გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს ფინანსურ მენეჯერს.

(ბ) მარიამ მამუკაშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი იყო პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილე და ითხოვდა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 9 თვიანი სტაჟირების პერიოდის დასრულებამდე თეორიული კურსის საფასურის გადახდის გადანაწილებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-14 მუხლის, 4.3. პუნქტის თანახმად, ადაპტაციის პროგრამის მონაწილის მომართვის საფუძველზე, თეორიული კურსის საფასურის გადახდა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, სწავლების 3 თვეზე გადანაწილებით. თუმცა, საბჭო ითვალისწინებს განმცხადებლის ფინანსურ მდგომარეობას და მიზანშეწონილად თვლის განცხადების დაკმაყოფილებას.

ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარიამ მამუკაშვილის განცხადება თეორიული კურსის საფასურის გადახდის გადანაწილების შესახებ, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში 9 თვიანი სტაჟირების კურსის დასრულებამდე.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე